D.D. v. Lithuania

საჩივარი N13469/06

14/02/2012

ფაქტები

მომჩივანი, დ.დ. ფსიქიკური აშლილობით იტანჯებოდა 16 წლის ასაკიდან, მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ ნაშვილები იყო. 20-ზე მეტ საავადმყოფოში მოთავსების შედეგად სხვადასხვა დიაგნოზი დაისვა, რომელთაგან ბოლო ეპიზოდური პარანოიდული შიზოფრენია იყო. დ.დ. ოფიციალურად გამოცხადდა ქმედუუნარო პირად და დაენიშნა კანონიერი მეურვე. თავდაპირველად მომჩივნის მეურვე იყო მისი ფსიქიატრი და მეგობარი - დ.გ.; შემდეგ მისი მშვილებელი მამა; და საბოლოოდ მზრუნველობის სახლის დირექტორი.

აღწერილი იყო, რომ როგორც ქმედუუნარო პირი, მომჩივანს არ შეეძლო საკუთარი თავის მოვლა, ვერ აღიქვავდა ფულის ღირებულებას და ქალაქის ქუჩებში მშიერი ხეტიალობდა, რის გამოც იგი სამკურნალოდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს. მშვილებელი მამის, როგორც მეურვის, თხოვნით, იგი გადაიყვანეს ქ. კედაინიაის მზრუნველობის სახლში, რომელიც სწავლის უნარის დარღვევის მქონე პირთათვის იყო განკუთვნილი. აღნიშნული მზრუნველობის სახლში ყოფნის პერიოდში, დ.დ. სახელმწიფო ორგანოებთან რამდენიმე ფრონტზე იბრძოდა. მომჩივანმა მეურვეობის შესახებ საქმისწარმოების ხელახალი დაწყება სცადა. ჩატარდა სისხლის სამართლის გამოძიება იმის დასადგენად, უკანონო იყო თუ არა მზრუნველობის სახლში მოთავსებასთან დაკავშირებული გარემოებები და იქ მიღებული მკურნალობა. დ.დ.-მ სხვადასხვა ორგანოებს მიმართა, რის შედეგადაც ჩატარდა დამატებითი გამოძიებები. მცირე პროგრესის მიუხედავად, დ.დ.-ის ბოლო პოზიცია იყო დ.გ.-ის დახმარებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის („ECtHR“) მიმართვა, სადაც იგი ამტკიცებდა მე-2, მე-3, მე-5, მე-6, მე-8, მე-9, მე-10 და მე-13 მუხლების დარღვევას და კომპენსაციის სახით ითხოვდა 300 000 ევროს მინიჭებას.

საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა მე-5(4) და მე-6(1) მუხლების დარღვევა და სახელმწიფოს დაავალა 8000 ევროს გადახდა, დამატებით სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება სხვადასხვა საკითხის ფართო სპექტრს ეხება, ქვემოთ ყურადღება გამახვილდება კონვენციის მე-5 მუხლის განხილვაზე.

1. მუხლი 5(1) - „თავისუფლების აღკვეთა“

დ.დ. ამტკიცებდა, რომ მისი იძულებითი მოთავსება სოციალური მზრუნველობის სახლში წარმოადგენდა „თავისუფლების აღკვეთას“, რასაც მთავრობა უარყოფდა. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მზრუნველობის სახლი უზრუნველყოფდა სოციალურ მომსახურებას და არა სავალდებულო ფსიქიატრიულ მკურნალობას და რომ დ.დ.-სთვის დაწესებული შეზღუდვები აუცილებელი იყო მისი ფსიქიკური აშლილობის სიმძიმის გამო, ეს შეზღუდვები მის ინტერესებში შედიოდა და წარმოადგენდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მაცხოვრებლებზე სოციალური მზრუნველობის დაწესებულების პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ ჩვეულ მოთხოვნებს.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა:

"146… რაც შეეხება მოცემული საქმის გარემოებებს, სასამართლო მიიჩნევს, რომ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მომჩივნის სიტუაციაზე გამოყენების განსაზღვრის მთავარი ფაქტორი ის არის, რომ ქ. კედაინიაის მზრუნველობის სახლის ადმინისტრაცია 2004 წლის 2 აგვისტოდან, როდესაც მომჩივანი ამ დაწესებულებაში მოხვდა, დღემდე სრულ და ეფექტურ კონტროლს ახორციელებს მისი შეფასების, მკურნალობის, მოვლის, საცხოვრებელი ადგილისა და გადაადგილების საკითხებზე, მედიკამენტების მიღებითა და ზედამხედველობით (იქვე, § 91). როგორც ქ. კედაინიაის მზრუნველობის სახლის წესებიდან ირკვევა, იქ მყოფ პაციენტს არ აქვს დაწესებულების დატოვების უფლება ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე. კერძოდ, ... სულ მცირე ერთხელ მომჩივანმა დატოვა დაწესებულება მისი ხელმძღვანელობის ინფორმირების გარეშე, რის შემდეგაც იგი პოლიციამ უკან დააბრუნა (იხილეთ ზემოთ 29-ე პუნქტი). გარდა ამისა, ქ. კედაინიაის მზრუნველობის სახლის დირექტორს სრული კონტროლი აქვს იმაზე, თუ ვის შეუძლია მომჩივნის ნახვა და ვისგან შეუძლია სატელეფონო ზარების მიღება (იხილეთ ზემოთ მოცემული პუნქტი 81). შესაბამისად, ამ საქმეში კონკრეტული სიტუაცია არის ის, რომ მომჩივანი მუდმივი ზედამხედველობისა და კონტროლის ქვეშაა და არ აქვს წასვლის უფლება (იხილეთ Storck v. Germany, no. 61603/00, § 73, ECHR 2005-V). ნებისმიერი საპირისპირო განცხადება იმდენად არადამაჯერებელი იქნებოდა, რომ აბსურდამდე მივიდოდა.

147. მთავრობა დაეყრდნო სასამართლოს მიერ *H.M. v. Switzerland* (no. 39187/98, §47, ECHR 2002-II)-ის საქმეზე (ციტირებული ზემოთ) მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელშიც დადგინდა, რომ ხანდაზმული მომჩივნის საოჯახო თავშესაფარში მოთავსება აუცილებელი სამედიცინო მომსახურების, ასევე დამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობებისა და ჰიგიენის უზრუნველყოფის მიზნით არ წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას კონვენციის მე-5 მუხლის მნიშვნელობით.

თუმცა, თითოეული შემთხვევა უნდა გადაწყდეს კონკრეტული „ფაქტორების დიაპაზონის“ მიხედვით და მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არსებობდეს მსგავსება წინამდებარე საქმესა და H.M.-ის საქმეს შორის, არსებობს ასევე განმასხვავებელი ნიშნები. კერძოდ, არ დადგინდა, რომ H.M-ს იურიდიულად არ შეეძლო საკუთარი პოზიციის შესახებ აზრის გამოთქმა. ის ხშირად აცხადებდა, რომ მზად იყო მზურნველობის სახლში შესულიყო და იქ ყოფნიდან რამდენიმე კვირაში დათანხმდა დარჩენაზე, რაც სრულიად განსხვავდებოდა ამ საქმის გარემოებებისგან. გარდა ამისა, არსებობდა მთელი რიგი დამცავი მექანიზმები, მათ შორის სასამართლო კონტროლი, რათა უზრუნველყოფილიყო, რომ მზრუნველობის სახლში მოთავსება გამართლებული იყო როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად. ამან განაპირობა ის შეფასება, რომ H.M.-ის საქმეში არსებული ფაქტები არ იყო საკმარისად სერიოზული „ხარისხის“ ან „ინტენსივობის“, რათა გამართლებულიყო დასკვნა იმის შესახებ, რომ H.M. დაკავებული იყო (იხ. Guzzardi, ციტირებული ზემოთ, § 93). ამის საპირისპიროდ, მოცემულ საქმეში მომჩივანი აღნიშნულ დაწესებულებაში მოათავსეს მისი მეურვის მოთხოვნით, ეროვნული სასამართლოების ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

148. რაც შეეხება *Nielsen v. Denmark*, 28 November 1988, Series A no. 144 საქმეში არსებულ ფაქტებს, რომელსაც მთავრობა ეყრდნობოდა, ამ საქმეში მომჩივანი იყო ბავშვი, რომელიც დედის თხოვნით და თერაპიული მიზნებისთვის საავადმყოფოში იმყოფებოდა მკაცრად შეზღუდული ვადით, მხოლოდ ხუთნახევარი თვის განმავლობაში. ხოლო წინამდებარე საქმეში მომჩივანი არის ზრდასრული ადამიანი, რომელმაც უკვე შვიდ წელზე მეტი გაატარა ქ. კედაინიაის მზურნველობის სახლში, ამ სახლის დატოვების უმნიშვნელო პერსპექტივით. გარდა ამისა, ამ საქმისგან განსხვავებით, *Nielsen*-ის საქმეში თერაპია მოიცავდა რეგულარულ საუბრებსა და გარემოსდაცვით თერაპიას და არ მოიცავდა მედიკამენტებს. და ბოლოს, როგორც სასამართლომ *Nielsen*-ის საქმეში დაადგინა, ხელისუფლების მიერ მომჩივნის ჰოსპიტალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გაწეული დახმარება „შეზღუდული და დამხმარე ხასიათის“ იყო (§63), მაშინ როდესაც წინამდებარე საქმეში ხელისუფლებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მომჩივნის ქ. კედაინიაის მზრუნველობის სახლში მოთავსებასა და იქ ცხოვრების გაგრძელებას.

149. შემდგომი შეფასებისას, სტრასბურგის სასამართლო ყურადღებას ამახვილებს 2005 წლის 25 იანვრის ინციდენტზე, როდესაც მომჩივანი დააკავა აღნიშნული მზრუნველობის სახლის პერსონალმა. მიუხედავად იმისა, რომ დ.დ. მოათავსეს დაცულ პალატაში, მისცეს ნარკოტიკები და დააბანეს მხოლოდ თხუთმეტიდან ოცდაათ წუთამდე, ევროპული სასამართლო აღნიშნავს დაკავების ღონისძიების განსაკუთრებით სერიოზულ ხასიათს და აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტები

მიუთითებს თავისუფლების აღკვეთაზე მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით, დაკავების შედარებით მოკლე ხანგრძლივობა გავლენას არ ახდენს ამ დასკვნაზე...

150. შემდეგ სასამართლო „სუბიექტურ“ ელემენტს განიხილავს... მომჩივანმა სუბიექტურად აღიქვა თავისი სავალდებულო მოთავსება მზრუნველობის თავშესაფარში, როგორც თავისუფლების აღკვეთა. მთავრობის ვარაუდის საწინააღმდეგოდ, მას არასდროს განუცხადებია თანხმობა და ცალსახად ეწინააღმდეგებოდა აღნიშნულ დაწესებულებაში მოთავსებას, მისი იქ ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. რამდენჯერმე მომჩივანმა მოითხოვა გათავისუფლება... მან ორჯერაც კი სცადა გაქცევა ხსენებული მზრუნველობის სახლიდან.

შეჯამების სახით, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი ქმედუუნაროდ გამოცხადდა მაინც შეეძლო თავისი მდგომარეობის შესახებ აზრის გამოთქმა. მოცემულ ვითარებაში სასამართლო ადგენს, რომ მომჩივანი არასდროს დათანხმებულა მზრუნველობის სახლში ცხოვრების გაგრძელებას.

151. და ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის მზრუნველობის სახლში მოთავსება მოითხოვა მომჩივნის მეურვემ, კერძო პირმა, იგი განხორციელდა სახელმწიფო დაწესებულების - ქ. კედაინიაის მზრუნველობის სახლის - მიერ. ამგვარად, გასაჩივრებულ სიტუაციაზე ხელისუფლებას პასუხისმგებლობა ეკისრებოდა...“. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთას.

2. მუხლი 5(1)(e) - დასაბუთება

5(1) მუხლის გათვალისწინებით, დ.დ. ამტკიცებდა, რომ მზრუნველობის სახლში მოთავსების გზით თავისუფლების აღკვეთა უკანონო იყო, რადგან ხელისუფლებამ არ განიხილა ხომ არ იყო მეტად შესაფერისი ნაკლებად მკაცრი ზომა და რადგან მომჩივანი გამორიცხული იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან. მეორე მხრივ, მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივნის დაკავება კანონიერი იყო, რადგან ეს შეესაბამებოდა შიდა კანონმდებლობას, რომელიც პირის დაკავების საშუალებას აძლევდა მეურვის მოთხოვნით, იმ პირობით, რომ მას ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა.

მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Winterwerp v. the Netherlands* (24 October 1979, Series A no. 33) დადგენილი პირობები გამოიყენა მზრუნველობის სახლში მომჩივნის განთავსების კანონიერების დასადგენად:

"156. სასამართლო ასევე იხსენებს, რომ *Winterwerp-ის* საქმეში ... მან განსაზღვრა სამი სავალდებულო პირობა, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (e) ქვეპუნქტის მნიშვნელობის შესაბამისად „ფსიქიკური აშლილობის მქონე

პირის კანონიერი დაკავებისთვის“: გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა, შესაბამისი პირის ფსიქიკური აშლილობა უნდა იყოს დადასტურებული, ანუ კომპეტენტური ორგანოს წინაშე ობიექტური სამედიცინო ექსპერტიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს რეალური ფსიქიკური აშლილობა; ფსიქიკური აშლილობა უნდა იყოს ისეთი სახის ან ხარისხის, რომ ამართლებდეს სავალდებულო თავისუფლების აღკვეთას; და თავისუფლების აღკვეთის გაგრძელების ნამდვილობა დამოკიდებული უნდა იყოს ასეთი აშლილობის შენარჩუნებაზე.“

სტრასბურგის სასამართლომ 157-ე პუნქტში დაადგინა, რომ დ.დ. აკმაყოფილებდა ამ კრიტერიუმებს, რომ ალტერნატიული ზომები არ იყო შესაფერისი და შესაბამისად, მისი მზრუნველობის სახლში დაკავება კანონიერი იყო.

3. მუხლი 5(4) - სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა მოცემული ახალი პრინციპები შემდეგ პუნქტებში:

163. (ა) ფსიქიკურად დაავადებულ პირს, რომელიც განუსაზღვრელი ან ხანგრძლივი ვადით იძულებით მოთავსებულია ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ავტომატური პერიოდული გადასინჯვის არარსებობის შემთხვევაში, “გონივრული ინტერვალის შემდეგ” დაიწყოს სამართალწარმოება, რათა ეჭვქვეშ დააყენოს მისი დაკავების “კანონიერება - კონვენციის მნიშვნელობით;

(ბ) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მოითხოვს, რომ გასაჩივრება მოხდეს სასამართლო წესით და შესაბამის პირს მისცეს გარანტიები რომლებიც შეესაბამება სადავო სახის თავისუფლების აღკვეთას; იმის დასადგენად, უზრუნველყოფს თუ არა სამართალწარმოება ადეკვატურ გარანტიებს, გათვალისწინებული უნდა იყოს იმ გარემოებების კონკრეტული ხასიათი, რომლებშიც ასეთი სამართალწარმოება მიმდინარეობს;

(გ) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ სასამართლო პროცესს ყოველთვის არ სჭირდება იგივე გარანტიები, რაც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით არის მოთხოვნილი სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმეებისთვის. მიუხედავად ამისა, აუცილებელია, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს სასამართლოზე წვდომის და მოსმენის შესაძლებლობა პირადად ან, საჭიროების შემთხვევაში, წარმომადგენლის მეშვეობით. შესაძლოა საჭირო გახდეს სპეციალური პროცედურული გარანტიების არსებობა იმ პირთა ინტერესების დასაცავად, რომლებიც ფსიქიკური შეზღუდვის გამო სრულად არ არიან ქმედუნარიანნი დამოუკიდებლად მოქმედებისთვის.

ეს უკანასკნელი პრინციპი კიდევ უფრო გამართლებულია მაშინ, როდესაც, როგორც ამ შემთხვევაში, განთავსება სასამართლოების ყოველგვარი ჩარევის გარეშე განხორციელდა. სასამართლო განხილვის ფორმები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთი

საკითხიდან მეორემდე და დამოკიდებული იყოს თავისუფლების აღკვეთის ტიპზე, თუმცა სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა:

"165… როგორც ჩანს, მომჩივნის მსგავს სიტუაციებში ლიეტუვას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირის ისეთ დაწესებულებაში მიღებისა და მისი ყოფნის კანონიერების ავტომატურ სასამართლო გადასინჯვას, როგორიცაა ქ. კედაინიაის მზრუნვლობის სახლი. გარდა ამისა, შესაბამისი პირის მიერ სასამართლო გადასინჯვის მოთხოვნა შეუძლებელია, თუ ამ პირს ჩამოერთვა ქმედუნარიანობა. შეჯამების სახით, მომჩივანს ხელი შეეშალა დამოუკიდებლად გამოეყენებინა სასამართლო ხასიათის ნებისმიერი სამართლებრივი საშუალება, რათა გაესაჩივრებინა მისი იძულებითი ინსტიტუციონალიზაციის გაგრძელება.

166. მთავრობა აცხადებდა, რომ მომჩივანს შეეძლო სამართლებრივი დევნის დაწყება მეურვეების მეშვეობით. თუმცა, ეს საშუალება მისთვის პირდაპირ ხელმისაწვდომი არ იყო: მომჩივანი სრულად იყო დამოკიდებული თავის კანონიერ მეურვეზე, მშვილებელ მამაზე, რომელმაც თავიდანვე მოითხოვა მისი განთავსება მზრუნველობის სახლში. სტრასბურგის სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მომჩივნის ამჟამინდელი კანონიერი მეურვეა ქ. კედაინიაის მზრუნველობის სახლი - იგივე სოციალური მზრუნველობის დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია მის მკურნალობაზე და უფრო მეტიც, იგივე დაწესებულება, რომლის წინააღმდეგაც მომჩივანმა არაერთხელ შეიტანა საჩივარი, მათ შორის სასამართლო პროცესებზე. ამ კონტექსტში ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ როდესაც პირს, რომელსაც შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრი, მიუხედავად იმისა, რომ მას ჩამოერთვა ქმედუნარიანობა, აღეკვეთა თავისუფლება მეურვის მოთხოვნით, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გაასაჩივროს ეს დაკავება სასამართლოში, ცალკე იურიდიული წარმომადგენლობის მეშვეობით...

167. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო... ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.“